ხალგაზრდა ვერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

2 მარტი შაბათი 1991 № 25 (11658)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

27 თებერვალს გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის მოხსენების გამო სესიამ ცნო დეპუტატების კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ფირცხალავასა და აკაკი გიორგის ძე მათიაშვილის უფლებამოსილება, რომლებიც საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ პარტიული სიით არიან არჩეული.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის მდივანმა გიორგი გულბანმა სხდომას მოახსენა, თუ რა ცვლილებებია შეტანილი უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში, რომელიც დეპუტატებმა პირველი წაკითხვით წინა სხდომაზე განიხილეს. სესიამ მიიღო ეს კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.

შემდეგ განიხილეს უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი.

აზრთა გაზიარების შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები აკაკი ბობოხიძე, დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თეიდო ნინიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, ეთერ გუგუშვილი, კანონი მიღებულია საბოლოო რედაქციით.

უზენაესმა საბჭომ ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა ამა წლის 29 იანვარს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის კანონში „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“. აგრეთვე ამასთან დაკავშირებით შეტანილია ცვლილებანი და დამატებანი რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

„ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა დეპუტატი თენგიზ ჩაჩავა. სესიამ მიიღო წარმოდგენილი ცვლილებანი და დამატებანი.

სანამ სესია შეუდგებოდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვას, ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარ უკანასკნელ მოვლენებს პოლიტიკური შეფასება მისცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ რამდენადაც საქართველო უარს ამბობს სამოკავშირეო ხელშეკრულების



ხელმოწერაზე, ცენტრი ყოველნაირად ცდილობს გაითამაშოს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაძაბულობის ხელოვნურად გაძლიერების უკვე არაერთხელ მოსინჯული სქემა. ამას ადასტურებს სსრ კავშირის პრეზიდენტთან მისი ტელეფონით საუბრის შინაარსიც.

სესიაზე მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი იმის გამო, რომ აფხაზეთის ახს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეყვანილია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების 250 სამხედრო მოსამსახურე სრული საბრძოლო აღჭურვილობით ამ საბაბით, რომ მათ უნდა შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გულრიფშის რაიონში მდებარე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სანატორიუმში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეს ქვეგანყოფი შემოყვანილია საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობათა ნებართვის გარეშე.

აფხაზებს რა ამ ფაქტს, როგორც სსრ კავშირის კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და საქართველოს სუვერენული უფლებების სრულ უგულებელყოფას, უზენაეს საბჭოს ეს მიიჩნია დესტრუქციული ძალების მორიგ პროვოკაციად, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას როგორც საქართველოს ამ რეგიონში, ასევე მთლიანად რესპუბლიკაში. განცხადება შეიცავს მოთხოვნას აღიკვეთოს იმ თანამდებობის პირთა თვითნებობა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება შინაგანი ჯარების შემოყვანის შესახებ, და დაუყოვნებლივ გაიყვანონ ისინი საქართველოს ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ აქციის შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება უკანონოდ მოქმედ მხარეს, ნათქვამია განცხადებაში.

აფხაზეთში შექმნილ სიტუაციაზე ილაპარაკეს აგრეთვე დეპუტატებმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, ლევან ალექსიძემ, გიორგი ქავთარაძემ და სხვებმა.

სესიამ მიიღო დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

უზენაესმა საბჭომ შეიჩერა მოქმედება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 26 იანვრის ბრძანებულებისა „ეკონომიკის სფეროში ეკონომიკურ საბოტაჟთან და სხვა დანაშაულობებთან ბრძოლის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ და 1991 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებისა „უკანონო საშინ დანაშაულობებთან და მათს ორგანიზებულ ფორმებთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევია იმის საჭიროებით, რომ უზრუნველყოთ რესპუბლიკის სუვერენული უფლებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77-ე მუხლის შესაბამისად. როგორც ხაზგასმულია მიღებულ დადგენილებებში, ამგვარ დანაშაულებებთან ბრძოლა წარმართება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

სესიაზე მიღებულია კანონი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ და დადგენილება არჩევნების მონაწილე დეპუტატობის კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირებისათვის საშუალო ხელფასის მიცემის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევის საკითხი. აზრი გამოთქვეს დეპუტატებმა ლევარდ ტუხაშვილმა, მზექალა შანიძემ, რამაზ სურმანიძემ, მელს ბდოიანმა, გია ხავთასმა, როინ მეტრეველმა და სხვებმა. მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

სესიამ განიხილა საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის შექმნის საკითხი. ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები რომან გოცირიძე, აპოლონ სილაგაძე, შალვა აბზიანიძე, გივი თაქთაქიშვილი, ბაკურ გულუა და სხვები, დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი კანონი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ანზორ ჯანჯღავა.

უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ჩხეიძის წარდგენით სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გაცემის საფუძვლიანობის საკითხების შემსწავლელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრებს ალექსი წაბრიას და ალექსანდრე ალადაშვილს მათ მიერ შესაბამის სხვლის სამართლის საქმეთა განხილვის დამთავრებამდე.

სესიაზე წინადადებები შეიტანეს და განცხადებები გააკეთეს დეპუტატებმა ავთანდილ საყვარელიძემ, ამირან კალაძემ, ალექსანდრე კავსაძემ.

●

28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ განაგრძო მუშაობა. დეპუტატებმა იმსჯელეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის საფუძვლების კანონპროექტზე, რომლის განხილვა წინა დღეს დაიწყო. გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული ეს კანონპროექტი წარმოადგინა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ გივი თაქთაქიშვილმა. კანონი მიიღეს პირველი წაკითხვით.

სესიამ დაამტკიცა უზენაესი საბჭოს საქართველოს რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების გამოყოფის საფუძვლიანობის საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისიის შემადგენლობა.

შემდეგ უზენაესი საბჭო შეუდგა სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი მოწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების გამო საკითხის განხილვას. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას განცხადების შემდეგ, რომელმაც წაიკითხა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შემოთავაზებული დადგენილების პროექტი, დაიწყო კამათი. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ბიძინა გოცირიძე, ლევან ალექსიძე, ნოდარ ნათაძე, ტარიელ ველანტია, ბიმურზა აფრასიძე, როინ მეტრეველი, აპოლონ სილაგაძე, რომან გოცირიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, თეიმურ მდინარაძე, დავით ბერძენიშვილი, აკაკი ბობოხიძე, რობერტ პეტრიაშვილი და სხვები. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სამაჩაბლოში მდგომარეობის შესახებ სესიაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქალაქ ცხინვალის კომენდანტმა, მილიციის გენერალ-მაიორმა გივი კვანტალიანმა. მან და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა უპასუხეს დეპუტატთა კითხვებს.

სამაჩაბლოში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით უზენაესმა საბჭომ მიიღო მმართველობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებისადმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ უზენაეს საბჭოს მოახსენა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამ. მსიფლიო წარდგენით სესიამ დანიშნა მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და დეპარტამენტების, სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელები.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება გააკეთა დეპუტატმა კონსტანტინე ბაბანაძემ.

სესიაზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები გურამ პეტრიაშვილი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ამირან კალაძე, აკაკი ბობოხიძე და ავთანდილ საყვარელიძე.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა პრეფექტად დანიშნა ქასპის რაიონში ნინო გიორგის ასული ფირიანაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის საპარლამენტო კორესპონდენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე-კუელიარს, პროგრამა „ვრემიას“, სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას

18 თებერვალს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიაში“, როგორც ყოველთვის, ვიხილეთ ცილისმწამებლური გადაცემა საქართველოს შესახებ. საკავშირო პრესა, რადიო და ტელევიზია, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე, ცრუ ინფორმაციებს ავრცელებს საქართველოში, კერძოდ, სამაჩაბლოში, ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი დაძაბული ექსტრემალური სიტუაციის ირგვლივ. მაგრამ პროგრამა „ვრემიაში“ პროვოკატორი რუსი გენერლის ცრუ ინფორმაციამ ყველასთან ერთად და განსაკუთრებით ქალაქ გორში და გორის რაიონში მცხოვრები კეთილი ნების ოსი ეროვნების ინტელიგენციის წარმომადგენლები აღგაშფოთა.

ველიკორუსული იმპერიის ჯალათური სულის მსახურები, კვლავინდებურად სბპოროტიბი აღსავსენი, შხამსა და გესლს ანთხევენ ქართველი ერის მიმართ, იმ მრავალტანჯული ერის მიმართ, რომელიც თავისუფლებისაკენ მიმავალ ღვთიურ გზას შესდგომია. უფრო მეტად აღმაშფოთებელია, როცა პრეზიდენტი გორბაჩოვი უკანონო, არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებებით ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებს ოს ექსტრემისტებს.

გორი და მეზობელი რაიონები აივსო ცხინვალიდან ლტოლვილი ქართველებით. ოსი ექსტრემისტები ცეცხლს უკიდებენ ქართველთა სახლებს, თუმცა არც კეთილი ნების ოსებს ინდობენ და მათაც ვერაგულად უსწორდებიან.

„ვრემიაში“ ნაჩვენები სიუჟეტისა და ცრუ ინფორმაციის მიხედვით, თურმე, ქართველები ხოცავენ ოსებს, წვავენ მათ სახლებს... პირიქით კი ხდება.

საქართველოში მცხოვრებმა ყველა საღად მოაზროვნე ოსმა იცის, რომ ოს ექსტრემისტებს საბჭოთა არმია ამარაგებს იარაღით და იმის ნაცვლად, რომ კბილებამდე შეიარაღებული ოსი ექსტრემისტები გავაცნოთ მსოფლიოს, ქართველ ხალხს ვაცნობთ ცუდად. დიახ, ქართველი ბუნებით დიდსულოვანი და მიმტევებელია, ყველა ჩაგრულის, დევნილისა და უმიწაწყლოს შემფარებელია. ოსი ეროვნების ადამიანები არასოდეს არ იჩაგრებოდნენ საქართველოში, არც არასოდეს გვქონია რაიმე გასაყოფი, საზიარო და შესაცილებელი.

თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველოში მხოლოდ ერთხელ ჩატარდა ჭეშმარიტებისა და დემოკრატიის საფუძვლებზე დამყარებული უზენაესი საბჭოს არჩევნები. ამ არჩევნებში ყველა კეთილი ნების ოსმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულ ჩვენგანს დროულად და მართებულად მიაჩნია სუვერენული რესპუბლიკის კონსტიტუციური უფლებამოსილებით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმება. მიუხედავად ამისა, პროგრამა „ვრემიაში“ ძირძველ ქართულ მიწა-წყალს — სამაჩაბლოს ისევ „იუჟნაია ოსეტიად“ იხსენიებენ, რაც გამაღიზიანებლად მოქმედებს როგორც ქართველებზე, ასევე ჩვენზეც. ამიტომ მოვითხოვთ: საკავშირო პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ შეწყვიტოს ასეთი გამაღიზიანებელი გამოსვლები, ხოლო რაც შეეხება „სამხრეთ ოსეთს“ — საქართველოში ოსეთი არ არსებობს, აქ მხოლოდ ოსური დასახლებებია, საქართველო საქართველოა და ვუწოდოთ მას დღევანდელი საჯაროობის, გარდაქმნისა და დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე — საქართველოს რესპუბლიკა და არა ოლქებად დანაწევრებული „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“.

კმარა, თითოეული ჩვენგანის მოთმინების ფიალა აივსო. დაე, იცოდეს მსოფლიოს საზოგადოებამ, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანმა, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი — „საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების ლიდერი“ — არის ჩვენი უბედურების, ჩვენი ცხოვრების გაუკუღმართების მოთავე.

დროა ყველა მოქმედებას დაერქვას თავისი სახელი. იცოდეს მსოფლიომ, ვინ არის დამნაშავე. დამნაშავეა ყველა, ვინც საუკუნეებით ნაჭედი ქართველი და ოსი ერის ძმობა, ერთობა, მეგობრობა, ნათესაობა დაარღვია. თითოეულ მათგანს ღმერთი დასჯის.

ჩვენ, ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პროტესტს ვუცხადებთ პროგრამა „ვრემიას“ ცრუ სიუჟეტებისა და ინფორმაციების გამო და მოვითხოვთ:

1. კომპეტენტური კომისიის შექმნას, რომელშიც გაერთიანდებიან საერთაშორისო მასშტაბით — ჟურნალისტები, იურისტები, ჩვენი კავშირის კომპეტენტური, სამართლიანი განწყობილების შემქმნელი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

2. კომისიამ აქ, ადგილზე უნდა შეისწავლოს სამაჩაბლოში შექმნილი დაძაბული სიტუაციის მიზეზები და აუწყოს მსოფლიო საზოგადოებას საქმის ძირითადი არსი.

3. მოვითხოვთ სამაჩაბლოდან ე. წ. „სამხრეთ ოსეთიდან“ საბჭოთა არმიის გასვლას.

იმ ოსებმა, რომელთაც არ სურთ საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა და რომელნიც იზიარებენ იმპერიის დამპყრობლურ, უმართებულო მოქმედებებს, დროა დატოვონ საქართველოს მიწა-წყალი. ჩვენ საქართველოს შვილები ვართ, ქართულმა მიწამ გვშვა და ქართული მიწისთვის დავიხოცებით.

საქართველოს, ქართველი ხალხის ერთგული ოსი ეროვნების ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე სსრკ რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილების თაობაზე

საქართველმა ერმა თვითგამორკვევა საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნით განახორციელა სულ ცოტა 2500 წლის წინათ და დღემდე განუწყვეტელ ომებში იცავდა და იცავს მას.

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს სამეფო-სამთავროების ოკუპაცია-ანექსია, ხოლო 1921 წელს რსფსრ-მ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ფაქტობრივად ხელმეორე ანექსია. 1919 წლისა და 1990 წლის ორჩევნებით ქართველმა ხალხმა XX საუკუნეში უკვე ორჯერ დაადასტურა თავისი ნება — ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ამიტომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან ბუნდოვანია რეფერენდუმის კითხვა, გაურკვეველია, რას წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განახლებული ფედერაცია, მით უმეტეს, რომ მისი სტატუსი არც ერთი იურიდიული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული. გარდა ამისა, არ შეიძლება არსებობდეს სუვერენულ სახელმწიფოთა ფედერაცია. სსრკ კანონით რეფერენდუმის შესახებ ილაზება საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, რადგანაც რესპუბლიკის მომავალი ზედი განისაზღვრება არა მისი მოქალაქეების, არამედ სსრ კავშირში შემავალი სხვა „მოკავშირე რესპუბლიკების“ მოსახლეობის გადაწყვეტილებით.

არსებული რთული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. არ გიმართოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი.

2. რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტს დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ერთადერთი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 28 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის, ქალაქისა და დაბისათვის სახელის გადარქმევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გადაერქვას სახელი საქართველოს რესპუბლიკის ბოგდანოვკის რაიონსა და ქალაქ ბოგდანოვკას, ზნაურის რაიონსა და დაბა ზნაურს, წითელწყაროს რაიონსა და ქალაქ წითელწყაროს და შესაბამისად ეწოდოს ნინოწმინდის რაიონი და ქალაქი ნინოწმინდა, ყორნისის რაიონი და დაბა ყორნისი, დედოფლის წყაროს რაიონი და ქალაქი დედოფლის წყარო.

2. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 71-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ბოგდანოვკის“, „ზნაურის“, „წითელი წყაროს“ და დაემატოს სიტყვა „გურჯაანის“, შემდეგ სიტყვა „დედოფლის წყაროს“, სიტყვა „მცხეთის“, შემდეგ სიტყვა „ნინოწმინდის“, სიტყვა „ყვარლის“, შემდეგ სიტყვა „ყორნისის“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 27 თებერვალი.

ეროვნული ღირსებისთვის

ომძლავრა სატანამ და ორი ერის წარმომადგენელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შუღლი ჩამოაგდო. ბნელისა და სისხლის კოშმარმა წალეკა ადამიანური კეთილისმყოფლური ურთიერთობები მოყვასთა შორის, მოიშალა ურთიერთნდობა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით უჭირთ მორალურად ამ ერის წარმომადგენლებს, ვინც სამაჩაბლოს სისხლიანი ტრაგედიის უშუალო წამომწყები და გამჩაღებელია:

უჭირთ პატიოსან, მართალ ოსებს, ქართველი მეზობლებისა და ნაცნობ-მეგობრებისათვის თვალი ვერ გაუსწორებიათ, ეძებენ გამოსავალს: შიმშილობაც წამოიწყეს, წერილობითი თუ სიტყვიერი პროტესტიც განაცხადეს, შუამავლობა იკისრეს, მაგრამ პიროვნული ამბიციებით დაბრმავებულ, „30 ვერცხლზე“ სულგაყიდულ თვისტომთ ვერაფერი შეასმინეს. ნამუსიან ოსებს არაფერს ვერჩით, ვიმეზობლებთ და ვიმეგობრებთ კიდეც მათთან, მაგრამ საკითხავია, ბევრი არიან „ი ისინი? ვაი რომ რეალური მდგომარეობა სხვას მეტყველებს. უმეტესობა დუმს, „ძმათა“ ჭირს შორიდან უმზერს, ზოგი კი ქართველი მიწის მიტაცების ველური ფინით შეპყრობილთა ფარულ თუ აშკარა ხელისშემწყობად გვევლინება. ამიტომაც გაჭიანურდა სამაჩაბლის პრობლემა ამადაც იოცრება დღემდე უდანაშაულოთა სისხლი ძველთაძველ ქართულ მიწაზე.

ოსმა ვაიპატრიოტებმა იქნებ გარკვეული დროით მართლაც შეძლეს თავიანთი ერის ფსიქიკისა და ცნობიერების იმგვარად მოწამვლა, რომ მავანნი დაჯერეს, ქართველები ჩვენს მამულს გვეცილებიან, ისტორიული ოსეთის გამთლიანებასა და აღორძინებას არ გვანებებენო. იარაღსაც მისწვდნენ, ვითომდა ეროვნული ინტერესების დასაცავად. შეუნდე უფალო, თუ კი რომელიმემ მართლაც არ უწყიდა რასა იქმდა, მაგრამ დღეს, როცა სიმართლეს გზა გაეხსნა, როცა მრავალი ისტორიული ფაქტი ხელმისაწვდომი და საცნაური გახდა, გამოაშკარავდა კრემლის იმპერიული ზრახვებიც, გულწრფელად და პირდაპირ ითქვა ყველაფერი, გაურკვევლობითა და უცოდინარობით თავს ნურავინ მოიტყუებს. სამწუხარო ჭეშმარიტება ესაა მხოლოდ: „სიმართლეს შუდამ ცოტა მუშტარი ჰყავს, რადგან ხელსაყრელად არ მეჩინიათ“.

ვაჭრული ფსიქიკისა და მხდალი სულის ადამიანები „არცოდნა არცოდვას“ პრინციპს ეფარებიან, რათა თავიანთ თავში შეინღობონ სიხარბე, სიმხდალე, პასიურობა, გულგრილობა და განზე გადგომა. მათ ვაჟას სიტყვებს შევახსენებთ: „საზარელია შადგომა უგრძნობლობისა გზაზედა“. ეროვნული იდეალებისაგან, რომ შორს დგანან ოსი ტერორისტები და ექსტრემისტები, ეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია. არც ის არის საეჭვო, რომ ცენტრმა მათ და საერთოდ, ოსი ერის დიდ ნაწილს, თავიანთი იმპერიული ზრახვების სისხლიანი აღმსრულებლის, საქართველოსათვის ზურგში ჩასაცემი მახვილის ბინძური როლი დააკისრა. ამიტომაც იცავს „კბილებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შენარჩუნების იდეას.

ნუთუ ოსი ხალხი, მისი ღირსეული წარმომადგენლები შეეგუებიან მათი ეროვნული ფუნქციის ესოდენ დამდაბლებას? ახდა ვინ დაიჯერებს, რომ მან, ვინც 9 აპრილს გაუგონარი ვანდალიზმით დაარბია, დაჩეხა და მოწამლა ლოცვად ხელაპყრობილი ქართველები მხოლოდ იმისათვის, რომ გაბედეს გამოეხატათ თავისუფლებისაკენ, ადამიანური მეობისა და სრულფასოვნების დამკვიდრების ამ უცილებელი, უმაღლესი ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა, იგივენი ასეთი გულაჩუყებულნი და თავგამოდებულნი არიან ოსების ეროვნული ინტერესების დასაცავად. ისიც ვიკითხოთ, რასაც საკუთარ სამკვიდროში, ნამდვილ სამშობლოში ართმევენ, ჩვენთან, სხვის მიწაზე, რატომ სთავაზობენ ასე გულუხვად?

ოსი ვაიპატრიოტები თავიანთი ერის სულსა და ღირსებას საბჭოთა იმპერიის სასტიკი მანქანის ბორბლებ ქვეშ გასაყლეტად რომ იმეტებენ, არ გვიკვიროს, სანაცვლოდ პირადულ გამორჩენას მოელიან, მაგრამ ქართველების ნებასა და საკუთრებაზე ბატონობის განზრახვა აღმაშფოთებელიცაა და სასაცილოც ერთდროულად, საქართველოს ისტორიისათვის მაინც გადაეკრათ თვალი.

საბჭოთა არმიის ძლევამოსილების იმედით გაგულადებულ, ძალამოცემულ ოს მკვლელებსა და მპარავებს დასაკარგი არაფერი დარჩათ, სატანას მიჰყიდეს სული, ამიტომაც ველური გაბოროტებით და კმაყოფილებით გვიბილწავენ ენას, ეროვნულ დროშას, ღვთის საუფლო ტაძრებს, აკვანში ბავშვს ესლავენ, მომაკვდავთან ეჭიმს არ უშვებენ, ცეცხლწაკიდებულ სახლთან თუ სკოლასთან — სახანძრო მანქანას და ა. შ. რაც არანაკლებ საზარელია, თვითონვე ტეხენ განგაშს მსოფლიოს გასაგონად, რათა მათ მიერ ჩადენილი დანაშაული ქართველებს გადმოაბრალონ, დროებით აღწევენ კიდეც მიზანს მოსკოვის დახმარებით, მაგრამ აქსიომატური ჭეშმარიტებაა, რომ დაფარული საბოლოოდ არაფერი რჩება. მართალია ქართველები დღეს გულმოკლულნი ვართ, მაგრამ — ამაყნი და იმედიანნი ჩვენი სიმართლის გამო.

სამაჩაბლოდან დევნილ, აწიოკებულ ქართველებთან ერთად გულწრფელად გვაწუხებს უდანაშაულო ოსი დედებისა და ბავშვების ბედიც. მაგრამ უძლურები ვართ ზოგიერთი მათი თავაშვებული მამის, ძმის, ჩვილისა თუ ძეუღლის უზნეობის წინაშე. მათ, ვინც შეგებულად თუ შეუგნებლად დაადგა სატანის გზას, გვინდა მოვუწოდოთ:

— შეჩერდით, წინ უფსკრულია, ტანჯვისა და ვაების სამარადისო სამყოფელი. ნეტარების საუფლოს გასაღები კი ერთადერთი — სიმართლე!

თუ ოსთაგან ვინმეს მართლაც ერჩის გული მამულისა და ენის დასაცავად, ასაღორძინებლად, მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ საამისოდ იქ, თავიანთ სამშობლოში, ჩრდილოეთ ოსეთში. ამ საქმეში ქართველთა თანადგომისა და პრაქტიკული დახმარების იმედიც შეუძლიათ იქონიონ, ჩვენი მიწის დასაკუთრებას კი სულ ტყუილად ცდილობს ზოგიერთი.

თუ ველურთა სისხლიანი თარეში სამაჩაბლოში ჯერ კიდევ არ აილაგმა, ეს ქართველთა მაღალი სულიერების ნიშანია, მხოლოდ და ამაშია ჩვენი ძალა. მამა-პაპანი ასე გვმოძღვრავდნენ: „სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასო“. ისიც ვიცით: „ერთი წვეთი უბრალო სისხლი წარღვნად გადაიქცევა და ქვეყანას წალეკავს“. თქვენ თუ დაფიქრებულხართ, რამდენი წვეთი უბრალო სისხლი დაიღვარა სამაჩაბლოში ოსთა მიზეზით? ცოდვის მტვირთველთ ღმერთი უთუოდ მოჰკითხავს, მაგრამ ვაი რომ რისხვა მათ შვილებზეც გადაიღლის. ამიტომ მოგწოდებთ ოს დედებს, ყველა შეგნებულ მოქალაქეს, გადადგით გადამწყვეტი ნაბიჯი თავგასულთა ასალაგმვათ. სიცრუეს, აღვირახსნილ ცილისწამებას მართალი სიტყვა დაუპირისპირეთ. სამაჩაბლოში დაღვრილი სისხლი ხომ ოსი ერის სულიერებას, მის მომავალსა და ღირსებას ემუქრება წალეკვით.

დასასრულ, ისიც გვინდა გაგახსენოთ: „ვინც სისხლით გაძღა, ძილით ვერ გაძღება“, „ხოლო დუმილი თანხმობის ნიშანიაო“. ნუ წაართმევთ მშვიდობას თქვენს სულს, ქართველთა გვერდით თანაცხოვრების უფლებას — საკუთარ თავს. არც იმის დავიწყება ეგების, რომ ყველაფერს საზღვარი აქვს და მათ შორის ქართველთა მოთმინებასაც.

ღმერთმა მოგცეთ ძალა სიმართლისა და სიკეთისათვის!

ბანანა ანდრიაძე,
საქართველოს ჭელხინკის კავშირის პრეზიდენტრნს წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

რა აშფოთებს ფიდელ კასტროს

კუბის ხელმძღვანელმა ფიდელ კასტრომ, ჰავანას პროვინციაში გამართულ დახურულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იმპერიალიზმი არასოდეს გახდება საბჭოთა კავშირის დამლას მოწმე, რადგან მისი გმირი ხალხი სულ უფრო რწმუნდება საბჭოთა კავშირის შენარჩუნების აუცილებლობაში და ანგარიშს უწევს იმპერიალისტურ ზრახვათა საშიშროებასო („რაბოჩაია ტრიბუნა“ № 40, 1991 წ.), საკითხავია, რას და ვის ეყრდნობა თავის განცხადებაში საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი, რომელიც შეშფოთებული განაგრძობს: გაფრთხილებთ, თუ საბჭოთა კავშირი, როგორც უდიდესი „დერჟავა“, არ იქნა შენარჩუნებული, ამას დრამატული მოვლენები მოყვება მთელი მსოფლიოსათვის, სადაც განუყოფლად იბატონებს ამერიკის შეერთებული შტატებიო...

ესეც ჰუსეინის სინდისზეა

უკვე სამი მკვლელობაა სადამ ჰუსეინის 25 წლის ვაჟიშვილის უდეის სინდისზე („არგუმენტი ი. ფაკტი“, № 8, 1991 წ.). განსაკუთრებული სისასტიკის მკვლელობა მან 1988 წელს ჩაიდინა, როცა გაიგო, რომ მამამისის დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, მორიგი საყვარელი მიუყვანა მას. გაცოფებულმა შვილმა ცეშით ამოხადა სული მამის ერთგულ ქვეშევრდომს. სადამ ჰუსეინის მოთმინების ფიალა ამჯერად ისე აივსო, რომ... უდეიმ მთელი წელი გაატარა ციხეში, სადაც სამჯერ სცადა თავის მოკვლა. მთელი ამ დროის განმავლობაში მეუღლე შვილის შეწყალებას სთხოვდა ჰუსეინს — ბოლოსდაბოლოს ეს ბიჭის მიერ ჩადენილი პირველი მკვლელობა არ არის და, საერთოდაც, ის ჰუსეინების ოჯახში ერთადერთი მკვლელი როდიაო...

„იქ“ თუ აქ?

ამერიკელმა მკვლევარმა კ. რინგმა აღწერა ადამიანის კომაში ჩავარდნის 102 შემთხვევა. აღმოჩნდა, რომ პაციენტების 60 პროცენტს დაეუფლა ენით აუწერელი სიმშვიდე; 37 პროცენტი სხეულისაგან „განცალკევდა“; 23 პროცენტი გვირაბში მოხვდა; 16 პროცენტმა დაინახა საოცარი სინათლე, 8 პროცენტი შეხვდა გარდაცვლილ ნათესავებსა და ახლობლებს.

სიცოცხლედაბრუნებულ ავადმყოფთა უმეტესობა საყვედურობდა ექიმს, „იქ“ სჯობდა, რატომ დამაბრუნეთო, თუმცა გამოკითხულთა ერთი ნაწილი ხაზს უსვამდა სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლის უსიამოვნო შეგრძნებასაც.

ვინ „ემტერება“ ჰუმანიტარულ დახმარებას?

ის იყო ჰუმანიტარული დახმარების ქარავანი მოსკოვის საქალაქო საბჭოს შენობას მიუახლოვდა, რომ იური დოლგორუკის ძეგლს უკან მიმალულმა ბანდის წევრებმა ტყვიამფრქვევი გამოაგორეს და... ცეცხლი გახსნეს. ამ სურათის მოწმე მოსკოველები მას შემდეგ გამუდმებით რეკავენ პეტროვკის 38 ნომერში და სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ეკითხებიან, რატომ აძლევთ ბანდიტებს დღისით მზისით სროლის ნებასო...

თუმცა როგორც „ტორგოვაია გაზეტა“ (№ 25, 1991 წ.) იუწყება, ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ კინოგადაღება ყოფილა, ოღონდ მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც გადაღების ნება გასცა, ამის შესახებ თვით მილიციისათვისაც კი არ უცნობებია. მოკლედ, ჰუმანიტარული დახმარება მტრებს ნამდვილად არ ჩავარდნიათ ხელში და საერთოდაც, ნეტავ მხოლოდ ასეთი „მტრები“ ჰყავდეს მას.

ტაჯიკეთს ახლოვს პლაჩიდო

დუშანბეში გაიხსნა მიქელე პლაჩიდოს სახელობის კაფე („კომსომოლსკაია პრავდა“ №46, 1991 წ.). გასულ წელს პლაჩიდო ტაჯიკეთში იმყოფებოდა, სადაც მას იღებდნენ ფილმში „ავღანური ტეხილი“. ფილმის გადაღება თებერვლის ტრაგიკულმა მოვლენებმა შეაჩერა, იტალიელმა მსახიობმა კი ჯავშანტრანსპორტიორით დასტოვა ტაჯიკეთის დედაქალაქი. როცა ჯავშანტრანსპორტიორმა მომიტინგეთა მრავალათასიან ტალღას ჩაუარა, პლაჩიდომ თარჯიმანის მეშვეობით მოკლე სიტყვით მიმართა მათ და ავტოგრაფებიც ჩამოარიგა. ამჟამად სწორედ ამ სამახსოვრო ადგილზე გაიხსნა მისი სახელობის კაფე.

რაღა გაახარებთ ნოვოდოლინსკელებს?

უახლოეს მომავალში, ალბათ, აღარაფერი, რადგან „კომსომოლსკაია პრავდას“ (№ 46, 1991 წ.) ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, ნოვოდოლინსკელთა ყველა დიდი თუ პატარა სიხარულის (პიონერული მარშები, ქორწილები, პარადები, კომუნისტური მაისობები) გამომჟღავნების ერთადერთ ადგილად აქ საბჭოს წინ მდგარი ლენინის ძეგლი ითვლებოდა. ის კი ახლახან შუაღამისას ჩამოაგდეს ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა. იმ ღამით ნოვოდოლინსკელებს კარგა ხანს ესმოდათ ომახიანი შეძახილები, ძალაყინის ყოველ დარტყმას რომ მოსდევდა თან, მაგრამ გარეთ არავის გამოუხედავს. არც მოწმედ დადგომა ისურვა ვინმემ, რაც ძალიან უშლის ხელს სუკ-ის მიერ დაწყებულ გამოძიებას.

სანამ სუკი გამოძიების ძაფს ეძებს, ნოვოდოლინსკის საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა უკვე მოასწრეს მოსახლეობის გამოკითხვა და დაადგინეს, რომ უმრავლესობა ლენინის ძეგლის აღდგენის მომხრეა. ასე რომ, მგონი, „სიხარული“ უბრუნდებათ ნოვოდოლინსკელებს.

რაო, ი ევ ფულები?..

„კომსომოლსკაია პრავდას“ (№ 47, 1991 წ.) კორესპონდენტის ცნობით, 26 თებერვალს მან მშობლიურ რედაქციასთან სადარბაზოს წინ დაინახა... ფულის, თანაც მხოლოდ მსხვილი კუპიურების, მთელი გროვა. ის თვალისდახამხამებაში გააქრეს იქვე ძეხვის რიგში მდგომმა მოქალაქეებმა და ლამის გაქანებული სამარშრუტო ტაქსებიდან გადმომხტარმა მძღოლებმა. „კომსომოლკას“ კორესპონდენტსაც შეხვდა რამდენიმე კუპიური, თუმცა ირწმუნება, ოღონდ იმ გროვის, პატრონი მაჩვენა და ჩემს „მონაპოვარს“ უსიტყვოდ მას გადავცემო. თავზე ხელაღებული ფულის მფლობელი კი არსად ჩანს...

სხვათა შორის, დასძენს იქვე „კომსომოლსკაია პრავდა“, „იმაპრესის“ საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, პერმის სახელმწიფო ნიშნის ფაბრიკა უკვე შეუდგა ახალი ნიმუშის 25-მანეთიანი კუპიურების ბეჭდვას. ფაბრიკის დირექტორმა ი. მედვედევმა ამ ცნობას სულელური და ბოროტი მონაჩმახი უწოდა. მან განმარტა, რომ ასეთი დავალება კიდეც რომ მიეღოთ, ფაბრიკას არ შეეძლო მისი შესრულება, რადგან საამისოდ არც საშუალება და არც მოწყობილობა არ გაგვაჩნიაო. რა ვქნათ. კიდევ ერთხელ ვენდოთ „პასუხისმგებელ პირებს“ თუ დროზე გავუყენოთ საჭირო გზას ჩვენი 25-მანეთიანები?...

როგორ გავხდეთ ბედნიერი?

თუ დავუჯერებთ „რაბოჩაია ტრიბუნას“ (№ 40, 1991 წ.) და, რაც მთავარია, ცნობილ ამერიკელ ფსიქოლოგს, დოქტორ პიტმანს, ბედნიერების მისაღწევად სულ ცოტა (?!) რამ კმარა, კერძოდ:

— ილაპარაკეთ მხოლოდ სიმართლე.

— რომანებს სხვაგან ნუ წამოიწყებთ.

— ნუ უგულვებელყობთ სექსს.

— ყოველდღე იომეთ საკუთარ ოჯახში, ოღონდ ნურასოდეს ეცდებით... გამარჯვებას.

შეუდექით ამ პირობების შესრულებას და ნახავთ, რომ...

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი

ყარაგანდის ზოოპარკის თანამშრომლებმა სისრულეში მოიყვანეს განაჩენი, რომელიც ახლახან აქ გამოუტანეს... გარეულ ტახს („არგუმენტი ი ფაკტი“ № 8, 1991 წ.). ის დაკლეს... რათა ზოოპარკის სხვა მობინადრენი გამოეკვებათ.

ამ ზოოპარკში კარგა ხანია, მშიერი არიან მაიმუნები, რომლებსაც უკვე იმდენად „ამაიმუნებენ“, რომ კურდღლებივით სტაფილოთი კვებავენ, საფრთხის ქვეშ დადგა ცნობილი მოლაპარაკე სპილოს ბატონის ბედიც, მტაცებლები კი უბრალოდ კატასროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ზოოპარკის თანამშრომლები კარგა ხანია, მტრედებზე ნადირობენ, რათა ლომები და ვეფხვები გამოკვებონ (აი, ამას ჰქვია ჩიტი ბდღვნად არ ღირდაო), მაგრამ ბოლოს მხეცები უკვე ფეხზე ვეღარ დგებოდნენ „ომშილისაგან და... რაღა დარჩენოდათ ბედის ანაბარად მიტოვებულ ზოოპარკის თანამშრომლებს — არჩევანი ტაბაზე შეაჩერეს. ვინ იქნება შემდეგი?

პატივცემულო რედაქციავ

თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ბოლო ნომერში დაბეჭდილი იყო ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით უარი ეთქვათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. დაბეჭდილი ინფორმაციის სისწორეში ეჭვი არ შეგვაქვს, მაგრამ რადგან ჩამოთვლილ სიაში ჩვენს ორგანიზაციაზეც იყო საუბარი, გვინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებას საქართველოს ახალგაზრდული კავშირის შესახებ მცირედი განმარტება მივაწოდოთ.

მართალია, წესდებითა და პროგრამით საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი ეროვნული კავშირის წევრი, მაგრამ იგი ორგანიზაციის შიგნით არ ქმნის პარტიულ ორგანიზაციას. მის ხელმძღვანელობას ადგილებზე და ცენტრში მუშაობის პერიოდში დროებით შეჩერებული აქვს მათი პარტიულობა. საქართველოს ახალგაზრდული კავშირი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია და ბუნებრივია ზემოთ აღნიშნულის გამო იგი ვერ გატარდებოდა არჩევნებში მონაწილე სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად. თუ მან მაინც მიმართა საარჩევნო კომისიას თხოვნით, იმ მიზნით, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული იყო როგორც არა მთლიანად ორგანიზაცია, არამედ, როგორც გამონაკლისი, მისი აპარის საოლქო კომიტეტი, რომელთა კოლეგებმა დიდი სურვილი გამოთქვეს ამ სახით არჩევნებში მონაწილეობაზე. რაც შეეხება მთლიანად ორგანიზაციას, მას ადრეც და ახლაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელი შეუწყოს არჩევნებისთვის მზადებას და მის მსვლელობას. ხოლო საქართველოს ახალგაზრდული კავშირის წევრებს კი საშუალება ეძლევათ სურვილისამებრ დამოუკიდებელ კანდიდატებად მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

პატივისცემით —

ახალგაზრდული კავშირის სათათბირო.

„საქართველოს რესპუბლიკა“ (28. 02. 1991 წ.)

ხეოგს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი



...ხიხლით სიცოცხლის მიმცემი სიკვდილის უბეს სცილდება გმირო დამხსნელო, ჩვენს შორის მზესავით განაწილდება.

ბ. ლეონიძე

როცა ხუნდებადებულმა, იარაღაყრილმა საქართველომ სახსნელად ღირსეულ მამულიშვილთ მოუხმო, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებაში გასაწვრთნელად დაიწერა ორი ავტობიოგრაფია:

— მე, შალვა შოთას ძე მღებრიშვილი დავიბადე ქარელის რაიონის. სოფელ რუისში 1961 წლის 3 აპრილს...

— მე, მამუკა ალექსანდრეს ძე ხიზანიშვილი დავიბადე ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში 1967 წლის 9 ოქტომბერს...

სამაჩაბლოს ქართულ მიწაზე განეყარა მათი წმინდა სული სხეულს!

ამ ორი ძმის საქმენი თავად ჰოლადებენ სათნოებით მოპოვებულ სახელს!

მათი გმირობა სულის ღონეა!

ეროვნული ცნობიერება, ეროვნული თვითშეგნება, ერთიანობის შეგრძნება, მამულის სიყვარული, რწმენა, აი ეს იყო ქართველ ბუკთა რთულად სავალი გზის ჩირაღდანი.

ძმათა სისხლის არდასაღვრელად ტყვიას მკერდით ეგებებოდნენ მერაბ კოსტავას საზოგადოების ეს ორი ძმა, მაგრამ იმ აღმოცენებულმა სეპარატისტებმა (მათ ეროვნება არა აქვთ), რომელნიც ოდითგანვე მესაბე ძალის მონად და ბოროტ იარაღად იყო გამოყენებული, ჩვეულად, ზურგიდან მიპარვით, ქურდულად ლახვარი ჩასცა ორ ახალგაზრდა სიცოცხლეს.

არანაირი და ვერანაირი ძალა ვერ გააქრობს შალვასა და მამუკას სახელოვნად ნავალ გზას. საქართველოს ორი ათასწლიან ჭირნანახ ისტორიას არავინ და არაფერი ავიწყდება.

თავისუფალ საქართველოს მოწყურებული ამ ჩვენი ძმათა სულები სულ მალე შეიგრძნობენ, რომ მათგან ერის სასიკეთოდ თავგანწირვა დაფასებული და საუკუნოდ ფრთაშესხმული იქნება.

კურთხეულ იყოს საქართველოს მიწა თქვენს ნეტარ სხეულზე.

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება

რაჭა ტკივილია საქართველოსი

ზემო რაჭა — გასაოცარი ხიბლის მქონე კუთხე საქართველოსი. სულ სხვა ბუნება, სულ განსხვავებული კოლორიტი, მხოლოდ ამ ერთი ციდა კუთხისთვის რომაა დამახასიათებელი, და ელვის სისწრაფით იპყრობს მნახველთა ინტერესს. თვალისა და გულის სალბუნი გარემო დიდი მადლი და სიკეთეა რაჭისა, მაგრამ არა თუ მთავარი და ერთადერთი სიკეთე. რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, ამ კუთხეს გააჩნია უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები. ყოველივე ეს კი პირველი პირობა იქნებოდა იმისათვის, რომ თავიან კაცს გაეძლიერებინა ეკონომიკა და აეღორძინებინა რაჭა. ნაცვლად ამისა კი უმეტესობად იღვრება მრავალგვარი სამკურნალო თვისებების მქონე მინერალური მკაცე წყლები. მოუწყობელი და მოუვლელია შოვი და უწერა. ნორმალური პატრონის ხელში ისინი უცილობლად გახდებოდნენ უმნიშვნელოვანესი ტურისტული თუ საკურორტო ცენტრები, იმდენად, რამდენადაც უდიდესია მათი ბუნებრივი, ღვთის ნაწყალობევი სიკეთე.

ზემო რაჭაში მიწათმოქმედების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის მცირემიწიანობის გამო. სამაგიეროდ ყველა საშუალებაა მეცხოველეობას რომ მიჰყოს ხელი აქტიურად რაჭველმა გლეხმა. მაგრამ რა, სოფელი სოფელს აღარ ჰგავს და გლეხი გლეხს. მოშლილია მეურნეობა და ყოველივე ამის შედეგი კი სავალალო გვაქვს. დღეისათვის ზემო რაჭა საქართველოს, ერთ-ერთი ულარიბესი კუთხეა. ეკონომიკა მინიმუმზეა დაყვანილი, სოფელი კი დაცლილი და დადუმებული. ეს იმიტომ, რომ სოფელს აღარ გააჩნია მეურნეობის მწარმოებელი, ახალგაზრდობა, რომლის ძალოვანმა მარჯვენამაც უნდა იტვირთოს რაჭის აღორძინება. ხალხის ერთი ადგილიდან სხვაგან გადასვლას საცხოვრებლად, ამ შემთხვევაში კი გლეხის მასიურ აყრასა და ბარში ჩამოსახლებას, ვიღაც დალოცვილმა მიგრაცია უწოდა და გახდა ყბადაღებული ეს სიტყვა. ყველას ცოდვა მიგრაციას აეკიდა ზურგზე, თითქოს შავ ჭირად მოვლენოდა იგი რაჭას. ეს აზრი ისე გამყარდა, გადაავიწყდა კაცს, რომ მიგრაცია პროცესია მხოლოდ და მისი საფუძველი, ყველა უბედურების მიზეზი მავანთა და მავანთა ცოდვებია, ის პირობებია, რამაც იძულებული გახადა გლეხი მომწყდარიყო თავის მამაპაპისეულ ფუძეს და სხვა კუთხისათვის მიეკითხა. დღეს კი ახალგაზრდობა აღარ არის რაჭის სოფელში. ბავშვის სიცილი მოეტატა მთას. გაიქცეოდა, აბა რას იზამდა, წლების განმავლობაში დააღრჩვეს, განძრევის საშუალებაც არ მისცეს. გაიქცა, თავს უშველა ვითომ. სინამდვილეში კი ეს მოქმედება სირაქლემას რეაქციას მგონეს მტრის გამოჩენის დროს. გაიქცა, მაგრამ სად წაუვიდოდა წყობას, კანონს, რომელიც ყველგან მოქმედებდა: ერთ სულ პირუტყვზე მეტი არ იყოლიოო, ეს სათიბი კოლექტივებისაა და ყოველი ხუთი თვის ზვინიდან სამი ჩემიაო, ეს ყანაც კოლექტივისაა, მოსავლიდან პროცენტი მინდაო, ხილიც ჩამბარეო რაღაც გროშებად. ამოუვიდა, ბატონო, ყელში გლეხს, დაღალა ამდენმა ზემდგომმა და უფროსმა.

მე მინდოდა ხაზი გამესვა იმ პირობებისათვის, მიზეზებისათვის, რამაც თავის კუთხეზე უზომოდ შეყვარებული რაჭველი გლეხი იძულებული გახადა, აეკრა გუდა ნაბადი და მიეტოვებინა სახლ-კარი. წავიდა ის დრო, მკლავმაგარი გულძალოვანი კაცის მარჯვენა რომ ტრიალებდა მამულში, თავის საქმისა რომ კარგად იცოდა მადლიანმა. დღეს კი რაჭველ კაცს ხელახლა აქვს საძებარი გზები თუ როგორ იხსნას თავი სიღატაკისაგან, როგორ მართოს მეურნეობა.

შველა სჭირდება რაჭას. პრაქტიკული მოქმედებაა საჭირო, თორემ სიტყვა ყოველთვის იყო, საქმეს მოკლებული მხოლოდ. პრობლემას ვერ გადაჭრის ექვსგვერდიანი სტატიები, გულისამაჩუყებელი ტელეგადაცემები. არ ეძარა მარტო ხმამაღალი მოწოდებები და მორალის კითხვა. ხშირად კი გულისტკივილით მინდა ვთქვა, ყოველივე ამის ორგანიზატორნი და ავტორნი რაჭველები არიან და პირადად მაქვს ზოგიერთი მათგანის მიტოვებული სახლ-კარი და ბაღ-ვენახი ნანახი, საბრალოდ რომ გამოიყურებიან და ამაოდ ელიან პატრონებს.

რაჭა ახლა ერთ-ერთი მწვავე ტკივილია საქართველოსი. სასწრაფო შველას მოითხოვს ეს უძველესი კუთხე ჩვენი სამშობლოსი.

ერთი რამ კი სასიხარულოა ფრიად. ღმერთს დაუბრუნდა რაჭველი კაცი. მაინც დაუბრუნდა მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით დინჯი, პირველად ტაძრების ნგრევისას აჩქარდა და იმდენად აჩქარდა, რომ ზემო რაჭაში მოქმედი ეკლესია დღესდღეობით არ არსებობს. მარტო ქალაქ ონში ხუთი ქრისტიანული ტაძარი იქნა დანგრეული. გაზაფხულზე მოედნის განთქმული ეკლესიის მშენებლობა დაიწყება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, გვქონდეს უფლის თანადგომის იმედი და თან ნურც წყალში ჩავარდნილ კაცს დავემსგავსებით ჩვენი მოქმედებით.

ინგა მეტრეველი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

ჩვენი საჭირბოროტები

ბრძოლა აპრძალული ილეთებით

ბატონ „ბასლიკიანი“ ავ-ტორეული? „ბასლეკეფილი“ ეკიდა ერთი ბერძული ოლიმპიადა. ოლიმპიადის ხელოვნების მეუფეები შესულნენ ბერძენ ბერ-ძენ ბერ-ძენ ბერ-ძენ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი თაობა დაკარგულია...

იოსებ ორჯონიკიძე — დაბადებული 1948 წელს, ბავშვობა ბორჯომში გაატარა. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავიაციო-საინჟინრო ფაკულტეტზე. მუშაობდა საავიაციო ქარხანაში, არის კომუნისტური პარტიის წევრი, ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი. წლების განმავლობაში იყო ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამჯერად მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. ჩვენი საუბარიც იქ შედგა. თავიდანვე შევთანხმდით, რომ დროით არ ვიქნებოდით განებივრებული. ალბათ პირველი შემთხვევა იყო, როცა რესპონდენტმა ყოველგვარი შეკითხვის გარეშე დაიწყო ლაპარაკი და ამდენად დიქტოფონიც გვიან ჩავრთე. დღეს შეძლებისდაგვარად მოვერიდეთ ყოველგვარ კომენტარს...

— ...დაძაბულობაა მთელს კავშირში. ჯერჯერობით მე ვერ მოგიყვანთ ვერც ერთ მაგალითს, როცა ერთი ნაბიჯი მაინც გადაიდგა შენებისათვის. ჩვენ წლები მოვანდომეთ ნგრევას. მართალია, თუ არ დაინგრა, არ აშენდება, მაგრამ ეს პროცესი ხანგრძლივი აღმოჩნდა. ერთი კია, რომ იმ თაობას, რომელიც ახლა მოდის, ვერასოდეს ვეღარ დააჩოქებ, ვერ დაამუნჯებ. ხალხმა აზროვნება ისწავლა, დაეჩვია ანალიზს, სიმართლის თქმას. ეს უდიდესი გამარჯვებაა, თუმცა დღეს ყოველივე ამას თავდასხმით ემუქრებიან.

არ ვიცი, როგორ დამთავრდება ეს ეტაპი, მაგრამ პრეზიდენტის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ ქვეყანაში დაიწყო საჯაროობა! უკვე ძველებურად აღარ დევნიან იდეისათვის. მივედით იმ ზღვართან, როცა უნდა დაინგრეს ცენტრი და ხელისუფლება მთლიანად რესპუბლიკებში გადავიდეს. ვერ დაგისახელებთ კავშირში ვერც ერთ რესპუბლიკას, ოლქს, სადაც სრული სიმშვიდე იყოს. ყველა მათგანის პრობლემები თითქმის იდენტურია. დღემდე კი ვერც ერთმა ვერ იპოვა სწორი, გადამჭრელი პასუხი, თუ რატომაა ერთა შორის ასე დაძაბული ურთიერთობა... გასაგებია, ყველა ითხოვს თავისუფლებას.

— ერთი ტრივიალური შეკითხვა: რა არის თქვენი აზრით თავისუფლება?

— თავისუფლება ყველას თავისებურად ესმის, აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს. თუ აზროვნებაში ასი პროცენტითა ხარ თავისუფალი, მოქმედებაში 90% ხარ შეზღუდული, რადგან საზოგადოებაში მარტო არა ხარ, საზოგადოებას კიდევ თავისი, ანგარიშგასაწევი კანონები აქვს. ჩვენი დიდი უბედურება ისაა, რომ არასოდეს გვიცხოვრია ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც კანონები მართავდა. ჯერ კიდევ ნიკონმა საბჭოთა კავშირში ყოფნისას განაცხადა: ყველაზე დიდი განსხვავება ხმვრიკის შეერთებულ შტატებსა და თქვენს სახელმწიფოს შორის ისაა, რომ თქვენთან პიროვნებები მართავენ და ჩვენთან კი კანონებიო.

-- წლების განმავლობაში ხაქართველოს კომკავშირს ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყავით. ეს, რასაც თქვენ ერთგულებით ემსახურებოდით, დღეისათვის უარყოფილია. ახრულდა უმრავლესობის ნება — ხაქართველოში კომკავშირი აღარ არსებობს. როგორ ფიქრობთ?...

— დავიწყოთ იქიდან, თუ რა არის ახალგაზრდული ორგანიზაცია. აბსოლუტურად, მთელს მსოფლიოში არ არსებობს ახალგაზრდული ორგანიზაცია პოლიტიკური პლატფორმის გარეშე. ყველა პარტიას, მმართველი პარტია თუ ოპოზიციური, უნდა ჰყავდეს ახალგაზრდული ორგანიზაცია. სხვაგვარად პარტიას მომავალი არა აქვს. დღეს კი კომუნისტურ პარტიას ჩამოშორდა ახალგაზრდობა და ამიტომ იგი დემაგოგიის მარწუხებში აღმოჩნდა.

ადრე პლურალიზმს მოკლებული ვიყავით. იყო მხოლოდ ეს ერთი ორგანიზაცია, რომელიც თითქოს მთელი ახალგაზრდობის ინტერესებს გამოხატავდა. თითქოს... ეს იყო დანაშაული. მაგრამ მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი იმაშიც, რომ კომკავშირს არ ჰქონდა პოლიტიკური სახე. იგი ძირითადად რესპუბლიკური თუ საკავშირო მასშტაბის ღონისძიებების მომწყობად, პარტიის ყველა დავალებისა თუ ბრძანების შემსრულებლად ითვლებოდა, აერთიანებდა ყველა ახალგაზრდას განურჩევლად მრწამსისა თუ იდეისა. კიდევ ვიმეორებ, ეს დანაშაული იყო. მაგრამ ახლა ნახეთ, ერთ მაგალითს მოგიყვანთ: დღეს, როცა საგრძნობლად აიწია ნავთობის ფასმა, აღარაა ახალგაზრდობა, რომელიც ერთ დაძახებაზე წავა ტიუმენში. ეს იმიტომ კი არა, რომ ახალგაზრდობა არ ვარგა, არამედ დაირღვა ორგანიზებულობის, მობილიზების უზარმაზარი სისტემა. ალბათ კომკავშირის დამსახურება ის იყო, რომ შექმნილი ჰქონდა საფუძველი ახალგაზრდული ორგანიზაციის ფუნქციონირებისა. ჩვენმა თაობამ სისხლი ჩააქცია შავნაბადაზე კომკავშირული ქალაქის მშენებლობაში. კარგი იქნებოდა ეს ქალაქი ახალგაზრდა პოლიტიკურ მოღვაწეთა ცენტრად გადაქცეულიყო.

ნებისმიერი ორგანიზაციის შექმნა პოლიტიკური კრედოს განსაზღვრით იწყება. ხალხს აერთიანებს იდეა. თავისუფალი საქართველოს იდეა უზარმაზარი იდეაა და თუ ეს იდეა არ იქნა გადაყვანილი პოლიტიკურ საფუძველზე, იდეა ჰაერში ჩამოეკიდება და დარჩება მარტო ნაციონალიზმი. სამი კაცი უკვე ორგანიზაციაა. როცა იდეა დაიწყებს თანამოაზრეთა მოზიდვას, ძალაუნებურად გამოიკვეთება მოქმედების კონტურები, იფიქრებ თვისებრივ და რაოდენობრივ ზრდაზე, მუშაობის ხარისხზე, ავტორიტეტზე... საბოლოო ჯამში იკვრება მთელი წრე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იდეით სპეკულაცია, რასაც დღეს ძალიან ბევრი მიმართავს.

— „მოსხოვეტი“ დღეს ერთ-ერთ დემოკრატიულ რგოლად ითვლება. თქვენ აქ ხაკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან მოხვედით...

— დღეს მე დემოკრატების სამსახურში ვარ. დიახ, გუშინდელ კომკავშირულ მუშაკს დამიძახეს. თუმცა პოლიტიკური მოტივებით შეიძლებოდა ჩემი იგნორირება. ხომ შეიძლებოდა ვინმეს ისიც ეთქვა, ეს კაცი იმ ორგანიზაციას ემსახურებოდა და ახლა ჩვენთან ადგილი არა აქვსო, მაგრამ, როგორც ხედავთ... დღევანდელ დემოკრატიულ ხელისუფლებას აკლია ის, რაც პარტიულ და კომკავშირულ მუშაკებს მეტნაკლებად უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ. ესაა გამოცდილება, საქმის მართვა და ორგანიზაცია, პროცესის რეგულირება და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

— ხაქართველოში მიმდინარე პროცესებს როგორ უყურებთ?

— ამას წინათ ჩემს თანამემამულეებთან მქონდა შეხვედრა. მაშინ მათ ვუთხარი და ახლაც ვიმეორებ — გამოსავალი მხოლოდ იმაშია, რომ ყველა, როგორც ერთი, ახალ მთავრობას, ზვიად გამსახურდიას უნდა ამოუდგეს მხარში. ახალი მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებას ვერც მე ვიზიარებ, მეც ზოგიერთი რამ არ მომწონს, მაგრამ საქართველო მოესწრო იმ ბედნიერ დღეს, როცა სხვისი დანიშნული კი არა, თავისი არჩეული, კანონიერი ხელისუფლება ჰყავს. რახან ეს ბედნიერება, როგორც იქნა, მოვიპოვეთ, ,ოტაც უნდა მოვითმინოთ. თუ ჩვენ რადიკალური ცვლილებების გატარება, სოციალური პირობების შეცვლა, სასიკეთო შედეგები დღესვე, სასწრაფოდ მოვითხოვეთ, ყველაფერი საპირისპიროდ მოხდება — კატასტროფამდე მივალთ.

ახლახან ავსტრიაში ყოფნისას, შემთხვევით ხელში ჩამივარდა ავსტრიის პრეზიდენტის გამოსვლა ომის შემდეგ. პრეზიდენტი მმართავს თავის ხალხს — მოდით, ახლა ჩვენ კიდევ 15 წელი მოვითმინოთ, დავივიწყოთ ყველა საწუხარი, შუღლი, მტრობა, გაუტანლობა, მერე შევქმნათ ქვეყანა ისეთი, რომ ჩვენი შვილებისა არ შეგვრცხვეს, მერე ვილაპარაკოთ იმ თავისუფლებებსა და პოლიტიკურ უფლებებზე, რომელიც ცივილიზებულ ქვეყანას დაამშვენებდაო. გახსოვთ, კენედის ცნობილი სიტყვები — არ მოსთხოვო შენს ქვეყანას, რას გააკეთებს შენთვის, ჰკითხე შენს თავს, რას გააკეთებ ქვეყნისათვის და ამას ამბობს პრეზიდენტი 1960 წელს, როცა ამერიკას ჰქონდა გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდი.

— ბატონო ხოსო, თქვენ მოსკოვის ხაგარეო ურთიერთობებთან ერთად, მოსკოვის ეკონომიკას კურირებთ. ეს უზარმაზარი უბანია. გახაგებია, რომ მოსკოვის მასშტაბებით აზროვნებთ, მაგრამ ხაქართველოზე თუ გიფიქრიათ?

— ძალიან ხშირად. არაფრით არ შეიძლება ქვეყანა ეკონომიკურად ასეთ ქაოსურ სიტუაციაში განვითარდეს. დამოუკიდებლობისათვის კი ეკონომიკური სიძლიერეა აუცილებელი. პირველ რიგში უნდა განსაზღვროს რესპუბლიკის ის მაგისტრალური მიმართულებები, როცა ეკონომიკურად თავისუფალ საქართველოს იდეისათვის, რომ იტყვიან, ყველას ერთ მწკრივში დააყენებს. განვითარების ერთნაირი რეცეპტები არ არსებობს. ყველა რესპუბლიკამ ალბათ ინდივიდუალური გზა უნდა გამონახოს. მაგალითად ყაზახეთი დღეისათვის ერთადერთი რესპუბლიკაა, რომელიც უცხოეთის ბანკებს საკუთარი შესაძლებლობების თაობაზე გარანტიებს აძლევს.

სასწრაფოდ გადასაჭრელია თუ რა გზას დავადგეთ. საჭიროა ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. სპეციალისტების გარკვეული ნაწილი სისტემატურად უნდა იყვეს მივლინებული საზღვარგარეთის ქვეყნებში. რჩევა უნდა ვკითხოთ ყველას, მოვუსმინოთ ყველას და დასკვნები მერე გავაკეთოთ.

1956 წელს ჩვენ იაპონიას ვეზმარებოდით, ვუგზავნიდით მედიცმენტებს, სამედიცინო პერსონალს, რომ ბავშვები პოლიომიელიტით არ დახოცილიყვნენ. 1957 წელს კი იაპონიამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — დასახა ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გზები. 15 წელი მოანდომა ამ მიზნის მიღწევას და დღეს იგი ეკონომიკური განვითარების დონით მეორე ქვეყანაა...

თუ საქართველოს მდგომარეობას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საწარმოები გაჩერებულია, ინდუსტრიული რეზერვები ამოწურულია და, ბუნებრივია, რადგანაც საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ მან სულ სხვა გზა უნდა აირჩიოს.

როცა ყველაფერს ვაანალიზებ, მივდივარ ერთ დასკვნამდე, უნდა ვიცხოვროთ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული განვითარების ხარჯზე. საქართველომ შავ ზღვის სანაპირო, უფრო ზუსტად — ფოთი, უნდა გამოაცხადოს თავისუფალ ეკონომიკურ ზონად და ფოთი გახადოს თავისუფალი პორტი. შეიქმნას სოლიდური ტრანზიტული უბანი უცხოეთის ავიაკომპანიებისა. ეს იქნება დაახლოებით სინგაპურის განვითარების მოდელი, რომელიც რესპუბლიკებისაგან დიდ დაძაბულობას არ მოითხოვს, მაგრამ აქვს უზარმაზარი ეკონომიკური ეფექტი. უნდა განხორციელდეს საჰაერო და საზღვაო ტერმინალი, საკმაოდ მიმზიდველი პირობებით (უბაჟო შემოსვლა ზღვაში) დაახლოებით მალტის ვარიანტი — ამისათვის ყველა პირობა უნდა შეიქმნას. გარკვეულ პერიოდში საშუალება მოგვეცემა, შევქმნათ საწარმოო ძალთა განვითარების რაციონალური სქემა. დავუშვათ, თუ საჭირო შეიქმნა ჭუთაისის საავტომობილო ქარხანა მიეყიდოს რომელიმე მსოფლიო კომპანიას, უნდა გაიყიდოს, რადგანაც კაპიტალის შემოსვლა რესპუბლიკაში, ეს ეკონომიკური სუვერენიტეტის განმტკიცებაა და არავითარ შემთხვევაში ეკონომიკური დამონება, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

საქართველოს აქვს უზარმაზარი შესაძლებლობა, გახდეს ალპიური მეცხოველეობის ქვეყანა. თავის დროზე, ამის თაობაზე, კარგი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, „იქ“ მიღებულ გადაწყვეტილებებს ძალა არ ჰქონდა, სანამ „აქ“ არ დაამტკიცებდნენ.

ახლა რესპუბლიკამ უნდა გაიჭიროს და როგორც თავის დროზე ჩინეთმა გააკეთა, უნდა შეარჩიოს დაახლოებით 20-30 ათასი ახალგაზრდა და გაამგზავროს მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებში განათლების მისაღებად. თითოეული უნდა აიყვანოს აღრიცხვაზე და დაბრუნების შემდეგ ყველას კონკრეტული საქმე მიუჩინოს წინასწარ განსაზღვრულ უბანზე.

აღნიშნული პოტენციების განხორციელებას ვერც ერთი მმართველი პარტია ვერ შეძლებს, თუ გვერდით ხალხი არ ამოუდგა, თუ ახალგაზრდობამ არ დაუჭირა მხარი. თავისუფლების იდეა ახალგაზრდობის იდეაა, თავისუფლება აღორძინებაა, აღორძინება შრომის იდეაა. თუ პირველ ორში საქმე კარგად გვაქვს, მესამეში მოვიკოჭლებთ. ქართველ კაცს, მართალია, შრომა უყვარს, მაგრამ ხელმძღვანელობა უფრო უყვარს.

— ამას წინათ ეურნალ „ოგონიოკში“ (№ 50-51. 1990) გამოქვეყნდა პუბლიკაცია „პერსპექტივები და რეალები“. ამ პუბლიკაციის ანალიზი ჩვენს გაზეთში უკვე დაიბეჭდა. სტატიის ავტორია „მოსხოვეტის“ თავმჯდომარე, თქვენი „პირდაპირი“ კოლეგა გავრილ პოპოვი, რომელიც სახელმწიფოს ახალ მი.დელს გვთავაზობს. იქ საუბარია რესპუბლიკური საზღვრების გაუქმებაზე. მოკლედ, ამ მოდელის მიხედვით რესპუბლიკები კიდევ უფრო დაკავალებულები გამოდიან, ვიდრე დღეს არიან. როგორია თქვენი აზრი.

— რესპუბლიკები თავიანთ საზღვრებში უნდა დარჩნენ. აქ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ძველ პრეტენზიებს თუ გავედევნეთ, შეიძლება დღევანდელს ვერ მოვუაროთ. მე ჩემს კოლეგას ბევრ საკითხში კატეგორიულად არ ვეთანხმები და ბევრჯერ პირდაპირაც მითქვამს ამის თაობაზე. მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ ათეული წლების შემდეგ, პოპოვის ზოგიერთ მოსაზრებას გამართლება ექნება, მაგრამ ახლა ესაა უბრალოდ ერთ-ერთი პოლიტიკოსის მოსაზრება, და არა ქვეყნის განვითარების აუცილებელი სქემა, ყოველ შემთხვევაში ამას ხალხი წყვეტს და არა პიროვნება.

ვფიქრობ საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის იდეაზე, ყველაზე ახლო ახალოგად მიმაჩნია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, როდესაც ბავარიაში არის მონარქი, ის არ უშლის ხელს ბავარიას იყოს გერმანიის შემადგენლობაში. არის გარკვეული კანონები, რომელიც მთლიანად ვრცელდება გერმანიის ტერიტორიაზე, მაგრამ არის კანონები, რომლებიც მხოლოდ ბავარიაშია ქმედითუნარიანი. თუ ხარ ეგოისტი, პირველობის, ერთმმართველობის, ძალაუფლების ჟინი გაწვალებს, ეს - მონარქიაა. მონარქისტულ სახელმწიფოს კი მაინცდამაინც სიმპათიით ვერ ვუყურებ. ახლა რაც შეეხება უფრო რთულ პრობლემას. როცა ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, პოლიტიკურ არსსა და შინაარსზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი რელიგიური რწმენა და წარმომავლობა. საქართველო ისეა გეოგრაფიულად განლაგებული, რომ მას პრაქტიკულად, სომხეთის გარდა არც ერთი ქრისტიანული რესპუბლიკა არ ესაზღვრება. და თუ საქართველო ფედერაციული რესპუბლიკის შექმნისაკენ გადადგამდა ნაბიჯს, მომდევნო ეტაპზე სომხეთ-საქართველოს კონფედერაციის შექმნის თაობაზეც უნდა ვიფიქროთ, როგორც ქრისტიანული ალაუდარში ამიერკავკასიაში. ეს უბრალოდ ჩემი მოსაზრებაა. სხვა მხრივ, კი, მე აღარავითარი კავშირი არა მაქვს საქართველოს ახალ მთავრობასთან. ამის გამომწვევი ბევრი ფაქტორი არსებობს — ერთი ის გზა, რომელიც მე გავიარე, და ზოგჯერ ის გვარიც, რომელსაც მე ვატარებ.

— უკაცრავად, დიდი სერგოსი ხომ არაფერი ბრძანდებით?

— არა, არავითარი კავშირი არა გვაქვს. სერგო ორჯონიკიძე ლორეშიდანაა, ჩემი გვარი კი ხაშურის რაიონის სოფელ ტეზერიდან. იქ თითქმის სულ ორჯონიკიძეები ცხოვრობენ. საგვარეულო სასაფლაოც იქა გვაქვს. ლორეშელები იმერელი ორჯონიკიძეები არიან, ჩვენ კი ქართლელები ვართ.

— ალბათ დიდი ხანდუმლოების გამხელად არ ჩამოთვლით, თუ ვიტყვი რომ „სხვის“ ხამსახურში ჩამდგარი ქართველი კაცის ბედი ყოველთვის უცნაურად წარმართულა (ალბათ მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ), თუმცა თავის დროზე არც ერთ მათგანს აკლდა ტაში და დიდება. თქვენ როგორ შეხვდით დაწინაურებას, ეს თქვენთვის ეგერესტია თუ...

— ჩემზე გაცილებით უკეთესს და დიდ ქართველებს უმსახურიათ რუსეთისათვის. დაწყებული ბაგრატიონიდან — დამთავრებული ზამთრის სასახლის უკანასკნელი კომენდანტით, რომელიც ჭავჭავაძიანთ გვარისა იყო.

დღეს მოსკოვში დაახლოებით 3000 ქართველია, კავშირში კი 30000. დღეს ქართველები მოსკოვში დიდ თანამდებობებზეც მსახურობენ და საკმაოდ დიდი რეპუტაციით სარგებლობენ. რატომღაც არა მგონია, გამართლებული იყოს, რომ ყველა მათგანს დღეს რესპუბლიკაში მოუხმო, მონონაციას მომავალი არა აქვს. ეს იმ ქართულ დივიზიებს მაგონებს, როცა ერთი უუმბარის აფეთქებით ქერჩში მარტო ქართველები იხოცებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეხე

ი მოსაზრებას, რომ ყველა ერი თავის ხამშობლოში უნდა ცხოვრობდეხო — თქვენ არ იზიარებთ?**

— არა, ყველა ერი უნდა ცხოვრობდეს თავის სამშობლოში, მაგრამ დავუშვათ, მე ჩამოვედი ჩემი ოჯახით საქართველოში. სად ჩამოვიდე, სახლი იქ აღარა მაქვს და კარი. ჩემი ცხოვრების გზა ისე წარმომართა, რომ კარგა ხანი პარტიულ სამუშაოზე ვიყავი. ჩემგან აწი ინჟინერი აღარ გამოვა. მე უკვე სხვა საქმე ვიცი...

საერთოდ კი მთელი შეგნებით ჩემი ხალხის გვერდით ვდგევარ. თუკი ვგრძნობ რაიმე შემიძლია, მის სამსახურზეც არ ვამბობ უარს. ეს არც საგაზეთოა და არც სალაპარაკო, მაგრამ ამას წინათ ლადო გუდიაშვილის გამოფენისათვის, დაწყებული თვითმფრინავის ბილეთებიდან დამთავრებული ყველა იმ წვრილმანით, რაც ამგვარი მასშტაბის ღონისძიებას სჭირდება, თვითონ გავაკეთე. ახლა თბილისის ოპერის ეროვნულ თეატრს იტალიაში, ვერდის 100 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღება აქვს გადაწყვეტილი. აქაც ბევრი საკითხის მოგვარებაში უნდა დავეხმარო. ბევრ რამეზე მომიწევდება ხელი, იქ გატარებულმა წლებმა დიდი ნაცნობობა შემძინა. გუშინ სრულიად უცნობი კაცი მოვიდა, ვინმე ჩხეიძე, სამსახურის შოვნა მთხოვა, ანკეტა დამიტოვა, რასაკვირველია, უნდა დავეხმარო.

— ხანამ თქვენთან ერამოვიდოდი კოორდინატების დაზუსტებისას, შევიტყვე, რომ თურმე ზოგიერთი რუსული ორიენტაციის კაცადაც გრცნობთ. რამდენად მართალია და მაინც თქვენ „მე“-ში რას თვლით ქართული ხასიათის დიდ გამოვლინებად?

— ქართული ხასიათის დიდ გამოვლინებად უპირველესად ვთვლი იმას, რომ ჩემი სახლის კარები ყოველთვის ღიაა. ჩემი შვილები ქართულად ლაპარაკობენ, ყველა წეს-ჩვეულება ოჯახში ქართულია. მართალია, კოოპერატიული სკოლის გახსნა არ შეიძლება, მაგრამ მქონდა იდეა, მოსკოვში გახსნილიყო ქართული ფასიანი სკოლა და ამის ინიციატორი საქართველოს წარმომადგენლობა ყოფილიყო.

კავშირი მაქვს ქართულ სათვისტომოსთან. მოკლედ, თუკი ქართველად დაიბადე, მნიშვნელობა არა აქვს სად იქნები, შენში ინახება კოდი, რომელიც ყოველდღე შეგახსენებს თავს, ხან ერთ თვისებაში გამოვლენილი და ხან მეორეში. ოღონდ ეგაა, წლების განმავლობაში მოსკოვში მომიწია მუშაობა, არაქართულ გარემოცვაში და უკვე ლაპარაკიც რუსულად უფრო მიადვილდება. მით უფრო ამხელა ინტერვიუსთვის.

ბოლოს რას გვეტყოდით?

— საქართველო კიდევ ერთხელ უნდა დარწმუნდეს საკუთარ რეალურ შესაძლებლობებში. ყველაზე დიდი პოტენციები არის არა იმ თაობაში, რომელიც დღეს რესპუბლიკის სათავეშია, არც იმ თაობაში, რომელიც ოპოზიციაში, არამედ იმ თაობაში, რომელიც დღეს იდგამს ფეხს. მე უზარმაზარი პატივისცემითა ვარ განწყობილი ჩემი თაობისადმი, მაგრამ **ჩემი თაობა ახე თუ იხე მაინც დაკარგული თაობაა.** არ შეიძლება თაობამ, რომელიც რამდენიმე ღმერთს ემსახურა, კიდევ ერთხელ შეიცვალოს მრწამსი, ახალ კერპსა სცეს თაყვანი. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ, რომ თაობა, რომელიც მოდის დღეს, რომელიც დღეს იდგამს ფეხს, სწორად დაკვალიანდეს, მართალ გზას დაადგეს, ჩვენი შეცდომები გაითვალისწინოს, ჩვენზე კარგი გაიზარდოს.

— დიდი მადლობა.

ნინო კვაპანტირაძე,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

მოსკოვი—თბილისი.

ვარაუდი თუ რეალობა

აქამდე თუ ვინმეს კიდევ ეპვი ეპარებოდა, რომ ე. წ. ოსი ექსტრემისტების სახით ცენტრი გვებრძოდა, ბოლო დღეებში ყველაზე ურწმუნოც კი დარწმუნდებოდა. ცენტრმა და მისმა თითქოსდა ერთპიროვნულმა ლიდერმა საბოლოოდ მოიხსნა ნიღაბი, როცა ოსებისა და აფხაზეთის სახით სერიოზულ გართულებებს შეგვპირდა. ასეთი „სიურპრიზები“ საქართველოსათვის ახალი როდია, მაგრამ დღემდე, ასე თუ ისე, მაინც კონსპირაციულად გვევლინებოდა.

ბოლო ხანებში სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენები ნათქვამის სრული დადასტურებაა. თავად განსაჯეთ, 24 თებერვალს, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევთან და მის მიმდებარე რეგიონში დატრიალებული ტრაგედია ხომ წინასწარ კარგად მოფიქრებული სცენარით ჩატარდა? რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ექსტრემისტებმა ბრძოლის ველი გააფართოვეს. ადრე ცხინვალსა და თამარაშენის ზონის სოფლების ქართულ მოსახლეობას უტევდნენ, ახლა თითქოს მთელი ძალები ავნევისკენაა კონცენტრირებული. არის ვარაუდი, რომ ეს მხოლოდ ყურადღების გადატანის მიზნით კეთდება, თორემ ახალი თავდასხმა მზადდებაო თამარაშენზე.

მეორე ვარიანტსაც ვარაუდობენ. ამ ვარიანტით შეიარაღებული თავდასხმები უნდა განხორციელდეს ზნაურის რაიონიდან დაწყებული ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონის ქართველ მოსახლეობაზე. შეიარაღებულ უაჩაღურ ბანდებს (სხვა რა შეიძლება უწოდო მათ?!) მხარს დაუჭერს ამ მიმართულებით ოსებით კომპაქტურად დასახლებული სოფლები. ასეთი ეპვის საფუძველს ისიც იძლევა, რომ უკვე შენიშნულია ქარელის რაიონის სამხრეთის ზონის ოსური სოფლებიდან ქალებისა და ბავშვების გახიზნის ფაქტები კავკასიის იქითა ოსეთში.

ვარაუდი ვარაუდად და, ყველაფერს უნდა მოველოდეთ. ხომ დარწმუნებული ვართ, რომ ცენტრი მიზეზს ეძებს, რამენაირად საგანგებო მდგომარეობა და საკომენდანტო საათი (თუნდაც საპრეზიდენტო მმართველობა) დაიწესოს მთელ საქართველოში. თუ შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმები განხორციელდება ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, ეს უკვე ფაქტობრივად დასავლეთ საქართველოს მოწყვეტას გამოიწვევს ქართლთან და დედაქალაქთან; არის კიდევ ერთი ვარაუდი, რომ ამ შემთხვევაში „აგვიჯანყდებიან“ აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ოსები და განსაკუთრებული ცხელი წერტილი ახმეტა-თიანეთის ზონაზე იქნება...

ეს მხოლოდ ვარაუდია და ძალიან მოზარული იქნებოდა ამ სტრიქონების ავტორი (და არა მარტო ის) თუ კი ის მხოლოდ ვარაუდად დარჩებოდა. თუმცა, კიდევ უნდა ითქვას, რომ კრემლისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მაგრამ, დღესდღეობით ცხელი წერტილები, ოფიციალურად, მხოლოდ სამაჩაბლოშია, თუმცა საგანგაშო სიგნალები უკვე ისმის ქარელის რაიონიდან, კერძოდ სოფელ დვანიდან.



სოფელი დვანი თითქმის ზნაურის რაიონის საზღვართან მდებარეობს. აქედან 3-4 კილომეტრითაა დაშორებული ავნევი და იქ ატეხილი სროლის ხმა კარგად ისმის. დვანელები დღეს ერთ მუშტად შეკრულან. სხვა გამოსავალი არც არის, ვინაიდან სამი მხრიდან მათ ოსური მოსახლეობა ესაზღვრებათ. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა ამ სოფლელებს ავტომატებიდან და ნაღმსატყორცნებიდან ცეცხლი დაუშინეს. სოფლის განაპირას მცხოვრებლები იძულებული გახდნენ სოფელში. ნათესავებთან შესახლებულიყვნენ.

აი, რა მოგვითხრო სოფლის თავდაცვის შტაბის უფროსმა დურმიშხან ყავლაშვილმა:

24 თებერვალს, ქართველები რომ დაგვიხოცეს, ისეთი სროლა იყო, თავი ერაყში გეგონებოდა... ჩვენთან ცოტა ქაოსი შეიქმნა. ჩვენი სოფელი ზაურ ლაზარიშვილი არ იყო იმ დროს აქ. იგი მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი, საკმაოდ ჭკვიანი და გამოცდილი ახალგაზრდა კაცია. იგი მოგვიანებით მოვიდა, ჯავშანტრანსპორტიორით შევიდა ცეცხლის რკალში და ოთხი კაცი გამოიყვანა.

იმის შემდეგ, როცა სროლა შეწყდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან, გრიშა მინდიაშვილთან ერთად გადავწყვიტეთ შეგვექმნა სოფლის თავდაცვის შტაბი. ქუდზე კაცი გამოვიდა. შევქმენით რამდენიმე ჯგუფი, რომლებსაც სტრატეგიული საგუშაგოები უკავიათ. სამორიგეოდ ყველა გამოდის, ვისაც კი ფიზიკურად შეუძლია. ჯერჯერობით საგუშაგოებთან კავშირი არა გვაქვს, ეს-ესაა რაციები მოვიტანეთ და მოკლე ხანში დავამონტაჟებთ.

პირველ ხანებში ქაოსი იყო, რადგან არაფრით არ გვჯეროდა, თუ ჩვენთვის მათ სროლის ატეხვა შეეძლოთ. იცით, რატომ? ჩვენ ხომ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ზოგი ერთ კლასშიც კი ვსწავლობდით, ჭირშიც და ლხინშიც ერთად ვიყავით... თუმცა. ახლა გვაგონებენ, თქვენ, ქართველები რომ ქეიფობდით, ჩვენ იარაღს და ტყვია წამალს ვიმარაგებდითო. საზარელი ფოსასმენია ამგვარი რამ, მაგრამ, სამწუხაროდ ფაქტი რეალურია.

ერთი ფაქტია კიდევ, რომლის თქმაც აუცილებელია: ეი, ჩვენი მიმართულებით არც ერთი სამხედრო ნაწილი არ არის, მაგრამ ზნაურის რაიონიდან შემოდიან სამხედროები ჯავშანტრანსპორტიორებით, რაც უარყოფით რეაქციას იწვევს მოსახლეობაში. პირდაპირ საოცარია ასეთი თვითნებობა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ქარელის რაიონში საგანგებო წესები არაა გამოცხადებული და რისთვის დათარეშობენ?

დვანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, გრიშა მინდიაშვილმა, ანტონ ყავლაშვილმა, შალვა მწყურაძემ, ზაალ ახალკაცმა და სხვებმაც ანალოგიური მოსაზრებები გამოთქვეს. პირიქით, მათ უფრო საგანგაშო შემთხვევებიც აღნიშნეს: ჯავშანტრანსპორტიორით შემოსული ჯარისკაცები, საღამოს საათებში, თავს დაესხნენ სკოლის შენობას, ჩაამტვრიეს მინები, კარებები. სოფელ ტახტიძირელებს გააჩერებინეს მანქანა და ფული წაართვეს. მოსახლეობას, ვისაც კი მისწვდებიან, არომევენ სანადირო თოფებს, ამბობენ, ამ ადრალს მერე ოსები აიდულობენ ჩალის ფასადო.

საინტერესოა, მართლაც რა ესაქმებათ სამხედროებს ამ ზონაში? აქ ხომ საგანგებო წესები არაა გამოცხადებული? როდემდე გაგრძელდება მათი უაჩაღური თარეში? ყველა დვანელი დარწმუნებულია, რომ სამხედროებს უნდათ პროვოკაციის გამოწვევა, ამიტომ ყოველივე ამის შესახებ თავს იკავებენ, ითმენენ. მაგრამ ხომ შეიძლება მათშიც აღმოჩნდეს სუსტი ნებისყოფის ადამიანი? ასეთ შემთხვევაში ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა?

ერთ-ერთ საგუშაგოზე მივედით. აქედან ხელისგულივით ჩანს ოსური სოფლები და თუ დურბინდსაც მოიხმარე, ადვილად შეამჩნევ ვინ რა იარაღითაა აღჭურვილი. აგერ აშკარად მოჩანს, ორხიდიანი მანქანის კაბინაზე ტყვიამფრქვევი დაუმონტაჟებიათ, აგერ ავტომატით შეიარაღებული ადამიანიც... იქვე ახლოს, მინდორზე, სამხედროების ჯავშანტრანსპორტიორი და ჯარისკაცებიც ჩანან, მაგრამ ისინი თითქოს ვერც ამჩნევენ ტყვიამფრქვევიან მანქანას, ავტომატიან კაცს...

ორიოდე დღის წინ, კარგად ხედავდნენ, როგორ დატეხეს სოფელ ველების კოლმეურნეობის (ამბობენ 12-14 სატვირთო ავტომანქანა იყო) ხორბალი და ავნევის გვერდის ავლით, ალბათ ცხინვალისაკენ წაიღეს. ამ დროს გამანადგურებელი სროლა აუტეხეს ქართველებს, ხელი რომ არ შეეშალათ ხორბლის ქურდობაში. ისიც კარგად დაინახეს, თუ როგორ გადარეკეს მუგუთის კოლმეურნეობის 45-50 სული ძროხა, მაგრამ ყველანაირი იარაღიდან კვლავ სროლა ატეხეს... რა თქმა უნდა, სამხედროები იქვე ტრიალებდნენ, მაგრამ „საქმეში“ არ ჩარეულან...

ახლა დვანელები დღედაღამ საგუშაგოზე მორიგეობენ. შაჰ-აბასმა ვერ წაგვართვა ქართველებს მიწა და ოსებს როგორ დავუთმობთ, ამბობენ. ისეთი პატრიოტები კი როგორც აქაური მევლუდ ყავლაშვილი, ზაურ ლაზარიშვილი, დურმიშხან ყავლაშვილი და სხვები, მთელი სოფლის მოსახლეობაა, ამის უტყუარი გარანტიაა. უფრო მეტიც, დვანელმა გიორგი ყავლაშვილმა, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს და მუშაობს, სოფლისთვის ამ გაჭირვებულ დროს შეებულება აიღო და სოფლის დამცველთა რიგებში ჩადგა. ასევე მოიქცნენ გივი მწყურაძე, ჰამლეტ, როინ და გუგული კობაძეები და სხვები. აქვს კიდეც მათს საქციელს გამართლება, რამეთუ მშობლიური სოფელი, ძირძველი ქართული მიწა დღეს ასე სჭირიროებს.

...და მაინც, ზემოთ აღნიშნული ვარაუდი ვარაუდად დარჩეს და, რას ნიშნავს ზნაურის რაიონიდან, ყოფილ ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან ქარელის რაიონში ჯარის თარეში? იქნებ აქეთ ზონაში მცხოვრები ოსების გაეექსტრემისტებას?

ვფიქრობ, პასუხი უახლოეს ხანში უნდა მოიძებნოს.

გიორგი ფინთარაული,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი,
სოფელი დვანი, 28. 02. 91 წ.

სურათზე: საგუშაგოებზე: ავტორის ფოტოები.

ლორეტიანი ორგო

გაზეთის ხელმძღვანელობა არის საქველმოქმედო ასოციაცია „ალბალანება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ.№1

ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ვყიდი“, „ვყიდულობ“, „ვასწავლი“, „ვაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

ძვირფასო თანამემამულენო!

სამ წელზე მეტია ლელა დავითის ასული ჭელიძე იმედის თვალით შესცქერის ექიმებს, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ განკურნონ საშიში დაავადება, რომელიც ლეიკოზის სახელითაა ცნობილი მედიცინაში.

იყოჩაღეს ლელას მოსწავლეებმა, უახლოესმა გულშემატკივრებმა, კეთილშობილმა უცნობმა ადამიანებმა და მის სახელზე ჩოხატაურის აგრომრეწვბანკში გახსნილია საქველმოქმედო ანგარიში — 71101. ამ ანგარიშზე ჯერჯერობით ჩარიცხულია დაახლოებით იმ თანხის მეათედი, რაც საჭიროა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად და სამკურნალოდ. ამ ანგარიშზე შეგიძლიათ გადარიცხოთ რაგორც საბჭოთა ?ანეთი ასევე ვალუტა.

იქნებ გაგიჩნდეთ სურვილი — საპატიო წვლილი შეიტანოთ 32 წლის ახალგაზრდის სიცოცხლის გადარჩენაში. გწამდეთ, რომ კეთილი საქმე არ იკარგება. სანთელ-საკმეველი ყოველთვის იპოვის თავის გზას...

შეგახსენებთ ანგარიშის ნომერს — 71101

ჩოხატაურის აგრომრეწვბანკი

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

მცირე საწარმო «ესთეტი»

სამუშაოდ იწვევს სხვადასხვა სპეციალობის (დურგლებს, ელექტრიკებს, შემდუღებლებს, მწნეხავებს და სხვა) მუშა-მოსამსახურეებს, როგორც სამუშაოს სტაჟის ჩათვლით, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე.

შრომის ანაზღაურება მოხდება გამომუშავებით (450-დან 800 მანეთამდე).

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 39-48-27 (10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე).

მისამართი: ალ.ყაზბეგის პროსპ. №44 (ყოფილი პავლოვის პროსპექტი).

სარეკლამო სააგენ
„არგო-ბლიკი“

მიმდინარეობს მიღება

მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა მაღალკვალიფიციური მომზადების მოკლევადიან კურსებზე.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 68-39-30 (14.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე).

მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ კორპუსი 74°.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი

აცხადებს ღია კონკურსს საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სიმბოლიკის ესკიზების შესაქმნელად.

კონკურსის პროგრამა გულისხმობს კავშირის ემბლემას, ალმისა და ვიმპელის შექმნას. მასში მონაწილეობის უფლება აქვთ ცალკეულ პირებსა და შემოქმედებით ჯგუფებს.

საკონკურსო ნამუშევრები წარმოდგენილი უნდა იყოს 60X90 სმ. ზომის მუყაოს პლანშეტზე ან ქაღალდის ფორმატზე. თითოეული ელემენტისათვის საჭიროა შესრულდეს როგორც შავ-თეთრი, ისე ფერ... ესკიზი, რომლის მინიმალური და მაქსიმალური ზომებია შესაბამისად 10X10 სმ და 20X20 სმ.

ემბლემის გამოსახულების შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი გამოყენების შესაძლებლობა სამკერდე ნიშნისა და პოლიგრაფიული (მათ შორის საქმიანი მიმოწერის ბლანკზე დასატანი) ნიშნის სახით, აგრეთვე მისი გადიდებული ასლით კავშირის შეკრებათა ადგილის შესამკობად. სიმბოლიკის ელემენტებში ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა აისახოს კავშირის დასახელება მთლიანად ან აბრევიატურის სახით.

კონკურსი ანონიმურია. საკონკურსო ნამუშევზე — პლანშეტის ზედა მარჯვენა კუთხეში — და დალუქულ სადეკოზო კონვერტზე (რომელშიც ჩაიდება ავტორთა ვინაობის ამსახველი ფურცელი ზუსტი მისამართით და ტელეფონით) იწერება ხუთნიშნა რიცხვი (ციფრების სიმაღლე—1 სმ).

საუკეთესო ნამუშევრისათვის დაწესებულია პრემია 1000 მანეთის ოდენობით.

საკონკურსო ნამუშევრები უნდა ჩაბარდეს 1 თვის ვადაში განცხადების გამოქვეყნებიდან საქართველოს მათემატიკოსთა კავშირს შემდეგი მისამართით: 380043, თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№2, თსუ ივეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი (ტელეფონი 31-35-11).

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

წიგნის მოყვარულთა საყურადღებოდ!

თბილისის „საქწიგნის“ მაღაზიებში მიიღეს ლადო ხვედურელის წიგნი „განკითხვა“, სადაც დაბეჭდილია ფელეტონები, ოგავ-არაკები და სხვა საინტერესო მასალები.

იჩქარეთ შეიძინოთ!

ყურადღება!

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველაზე გაჭირვებულ ჩვენს თანამოძმეებს, აგრეთვე თბილისელებს, ვინც მონაწილეობდნენ ქაშუეთის ტაძრის ეზოსთან მიმდინარე სათნოების აქციებში, რომ შაბათს ტაძართან შეკრება არ გაიმართება.

გაერთიანება საქინტურისტმშენის სპეციალიზირებული № 1 სამშენებლო-სარემონტო ტრესტის თანამშრომელთა მოსაკითხს ჩვენს გაჭირვებულ თანამოძმეებს ასოციაციის წევრები ბინაზე მიაწვდიან.

სათნოების ორდენი
(„ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).

ახალგაზრდა ივერიელი

«Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-50;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, ზომა-ულის № 29 ~~1, 2, 3~~, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი
ვერა ბალარეიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.